



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

**ინფორმაციისა და წყნარი ოკეანეების რეგიონის
თავისუფალი და ღია სტრატეგია და მისი შედეგები
საქართველოსთვის, საერთაშორისო წყობისა და
დემოკრატიული და ეკონომიკური
ბანვითარებისათვის**

გიორგი ბილანიშვილი

თბილისი, 2022



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

**ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების რეგიონის თავისუფალი
და ღია სტრატეგია და მისი შედეგები საქართველოსთვის,
საერთაშორისო წყობისა და დემოკრატიული და
ეკონომიკური განვითარებისათვის**

გიორგი ბილანიშვილი

2022

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
თბილისი, 2022 წელი

საერთაშორისო და იაპონიის საგარეო პოლიტიკა

იაპონია მხარს უჭერს ლიბერალურ საერთაშორისო წყობას, რომელიც სარგებლის მომტანია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის. ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების რეგიონის თავისუფალი და ღია სტრატეგია (FOIP) ამ მოსაზრების კონცეპტუალიზაციად უნდა იქნეს მიჩნეული. ამ სტრატეგიის მთავარი მიზანი საერთაშორისო ვაჭრობის წინ წამოწევაა, რაც კანონზე დაფუძნებული საერთაშორისო წყობის ფარგლებში უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ FOIP ძირითად ყურადღებას უთმობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციას (ASEAN) და მისი მიზანია წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა.

რუსეთის მიერ უკრაინის უსაფუძვლო და გაუმართლებელი დაპყრობა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში არის სეისმური მოვლენა, რომელიც გეოპოლიტიკურ აღქმას სრულიად ცვლის. რუსეთის სამხედრო აგრესიის შესაჩერებლად აშშ-ის მიერ წამოწყებული მოქმედებების ეფექტურობა დიდ გავლენას იქონიებს ქვეყნის საიმედოობაზე. აღსანიშნავია, რომ 2008 წლიდან პუტინის პოლიტიკა წინ აყენებს ევრაზიანულ იდეოლოგიას, რომელიც ცნობილი რუსი მეცნიერის - ალექსანდრე დუგინის რადიკალურ იდეებს ეფუძნება.

მიუხედავად ამისა, პუტინის რუსეთი მაინც მოკლევადიანი საფრთხეა, ჩინეთი კი - უფრო გრძელვადიანი გამოწვევა. რუსეთთან შედარებით, ჩინეთის მზარდი საფრთხე სტრუქტურულია, სადაც უფრო არ არის მოსალოდნელი უახლეს მომავალში მთავარი ცვლილებები მოხდეს.

როდესაც ჩინეთი საკუთარი გავლენის გაზრდას ეკონომიკის გზით ცდილობს, მან ამისთვის შეიძლება ძალისმიერი მეთოდებიც გამოიყენოს. ჩინეთი საკუთარი ჰეგემონური წესრიგის შესაქმნელად გარკვეულწილად უკვე იყენებს ამ ტიპის პოლიტიკას, ხოლო იაპონიასა და ჩინეთს შორის ძალთა დისბალანსი პეკინის სასარგებლოდ იცვლება.

აშშ, რომელიც იაპონიის უმნიშვნელოვანესი მოკავშირეა, ჩინეთს მუდმივად მიაჩნებს, რომ არსებული ვითარების ცვლილება მისთვის მიუღებელი იქნება. ამ მხრივ ტაივანის უსაფრთხოების გარანტიები შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ნატოს წევრი ქვეყნების მსგავსია. თუმცა, აშკარაა, რომ აშშ-ს არ შეუძლია ყველა მზარდ საფრთხესა და გამოწვევასთან გამკლავება. მიუხედავად ამისა, მოცემული სიტუაციის გათვალისწინებით, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონი მისთვის პრიორიტეტად რჩება.

უკრაინის ამბებმა, სამხუხაროდ, სამხედრო აგრესიის თავიდან აცილების მიზნითა და სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად შექმნილი საერთაშორისო ინსტიტუტების უნიათობა

გამოავლინა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების მექანიზმების ძიება.

არსებულ რისკებთან გასამკლავებლად იაპონია მსგავსი ღირებულებების მქონე სანდო პარტნიორს ეძებს. პეკინის ჰეგემონიური მისწრაფებების პრევენციის მიზნით რიგი ზომები იაპონიამ უკვე მიიღო. მათ შორის უსაფრთხოების ოთხმხრივი დიალოგი (QUAD) ერთ-ერთი მექანიზმია. მიუხედავად სამხედრო კომპონენტის არქონისა, QUAD-ის წევრი ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაციისთვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

იაპონია-საქართველოს ურთიერთობები

გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, იაპონიასა და საქართველოს ბევრი საერთო აქვთ, რაც მათ შორის კავშირებს აღრმავებს. ორი ქვეყნის ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესია ღირებულებების, „გლობალური დასავლეთისა“ და ლიბერალური დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრისა და კანონის უზენაესობის ერთგულება.

იაპონია საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მტკიცედ უჭერს მხარს, ითვალისწინებს რა, რომ რუსეთს იაპონიის ჩრდილოეთ ტერიტორიაც ოკუპირებული აქვს. იაპონია ერთგულია საქართველოს არაღიარების პოლიტიკის მიმართაც. თუმცა, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონებში მისი პოზიციის გათვალისწინებით, ტოკიოს შეუძლია ნაურუს გადარწმუნება, რომ უკან გაიწვიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა.

2011 წელს იაპონიამ საქართველოს სტატუსით ნეიტრალური დოკუმენტები აღიარა, რაც საქართველოს არაღიარებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ჩართულობის პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ამასთან, იაპონია საქართველოს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ჰუმანიტარულ დახმარებას აწვდის.

აღსანიშნავია, რომ იაპონია და საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე ერთმანეთს უჭერენ მხარს და რეზოლუციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ერთმანეთის კანდიდატურას უწყობენ ხელს. 2021 წელს იაპონიამ და საქართველომ ორ უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას მოაწერეს ხელი ორმხრივი ინვესტიციისა და ორმაგი გადასახადის შესახებ, რაც ასევე ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

სხვადასხვა პროგრამის წყალობით, იაპონიაში მრავალმა ქართველმა გაიარა მაღალკვალიფიციური გადამზადება. ზოგიერთი პროგრამა ენერგოსექტორში მომუშავე საჯარო მოხელეებზე იყო მორგებული.

იაპონია ინფრასტრუქტურასა და სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტში ინვესტიციების გზით საქართველოს კავშირების გაღრმავებასაც უწყობს ხელს. სარკინიგზო და საზღვაო-საპორტო შესაძლებლობების

გათვალისწინებით, საქართველოს იაპონიასა და ევროკავშირს შორის კავშირების განვითარებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. ამ მხრივ აღსანიშნავია შავი ზღვის როლი არა მარტო კავკასიის, არამედ ევრაზიისა და ევროპისათვის.

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის პროექტი საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბისა და სატრანზიტო ქვეყნის რეპუტაციისთვის უმნიშვნელოვანესია. იაპონია დაინტერესებულია ამ პროექტში მონაწილეობით. იაპონიის მიერ პროექტისთვის გაღებული დახმარება საკმაოდ დიდი, პროაქტიული და კრეატიულია. ორ მხარეს შორის გაიმართა შეხვედრები, რომლებმაც იაპონიის მთავრობაში ინტერესები გააღვივა, რის შედეგადაც ეკონომიკის, ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტრომ 2019 წელს პორტის ტექნიკური განხორციელებადობის ანალიზისთვის გრანტი გამოყო. რუსეთის შავი ზღვის ნოვოროსიისკის პორტის სანქციების გამო შეზღუდულობის ფონზე, ანაკლიის პორტის უმოქმედობა საკმაოდ დიდი პრობლემაა.

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის გარდა, იაპონია საქართველოს ენერგოსექტორითაცაა დაინტერესებული. იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA), რომელიც საქართველოში 1995 წლიდან საქმიანობს, საქართველოს ენერგოსექტორს დიდი ხნის განმავლობაში ეხმარებოდა. JICA დაეხმარა ისეთ ცნობილ პროექტებს, როგორებიცაა დასავლეთ-აღმოსავლეთის მაგისტრალი (ზესტაფონის მიმდებარე ტერიტორია) და მზის ერთ-ერთი პირველი პანელების დამონტაჟება. მიმდინარე დიდმასშტაბიანი პროექტია 2021 წლის ნოემბერში საქართველოს ბანკის მიერ JICA-სა და აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) აღებული სესხი. სესხის საერთო ოდენობაა 200 მილიონი აშშ დოლარი, რომლიდანაც 100 მილიონი JICA-მ გასცა მცირე და მიკრობიზნესების დასაფინანსებლად.

JICA აფინანსებს იაპონიის ენის კურსებსაც, რაც დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება საქართველოში. დღეისათვის საქართველოში იაპონური ენის შემსწავლელი დაახლოებით 300-400 სტუდენტია. JICA განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან განათლების სტანდარტის გაზრდისთვის უცხოელი სპეციალისტების მოწვევის მიზნითაც თანამშრომლობს. ჩართულობის კიდევ ერთი მიმართულებაა სოფლის მეურნეობა. JICA-მ საქართველოში იაპონური თანამშრომლობის მოდელის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით იაპონელი ექსპერტებიც კი მოიწვია.

საქართველოს ენერგოსექტორით იაპონიის დაინტერესება ქვეყანაში იაპონური კომპანიების არსებობითაც დასტურდება (სულ, 26 კომპანია). მათ შორის უდიდესი ინვესტორია ტოკიოს ელექტროენერჯის კომპანია (TEPCO). კომპანიამ დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დააფინანსა და მისი წილების მესამედი აქვს შესყიდული. ამ პროექტმა 123 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა.

შესაძლებლობები სამომავლო თანამშრომლობისთვის

ორმხრივი ინვესტიციისა და ორმაგი საგადასახადო ხელშეკრულება, რომლებზეც იაპონიამ და საქართველომ 2021 წელს მოაწერეს ხელი, იაპონური კომპანიებისთვის საქართველოში მიმზიდველ შესაძლებლობებს ქმნის.

უკრაინაში გაუმართლებელი და უმიზეზო აგრესიის გამო საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთს უპრეცედენტო სანქციები დაუნესა, რაც ქვეყნის ეკონომიკას ძლიერ ასუსტებს. აქედან გამომდინარე, რუსეთში არსებულმა ბევრმა კომპანიამ, მათ შორის იაპონურმა კომპანიებმაც, ქვეყნის დატოვება გადაწყვიტეს. იაპონიის საქართველოში დაინტერესებით და მასთან მეგობრული ურთიერთობებიდან გამომდინარე, სულ მცირე, ზოგი კომპანია, ხელსაყრელი პირობების შეთავაზების ფონზე, საკუთარ ოფისს საქართველოში გადმოიტანს, რაც საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის, ფუნქციას წინ წამოწევს.

იაპონია საქართველოს ჰიდროენერჯის ინდუსტრიის განვითარებითაცაა დაინტერესებული. ენერჯის ეფექტური გამოყენება საქართველოსთვის დიდი პრობლემაა და ამის გასაუმჯობესებლად იაპონურ კომპანიებს საქართველოსთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ.

იაპონიას დიდი გამოცდილება აქვს LNG, SNG და ბუნებრივი აირის მარაგის ტექნოლოგიების სფეროსა და ბუნებრივი აირით სხვადასხვა გზით მომარაგებასა და ტრანსპორტირებაში, რითაც საქართველოს შეუძლია დიდი სარგებელი მიიღოს. სანჯავი წიაღისეული (ნავთობი და ბუნებრივი აირი) კიდევ ერთი სფეროა, რომელშიც იაპონიას გამოცდილების გაზიარება შეუძლია.

ციფრული ტექნოლოგია მთავარ როლს ასრულებს საქართველოს გავლით შუა კორიდორის მნიშვნელობის გასაზრდელად და აქაც იმედისმომცემია იაპონიის დახმარება.

ასევე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის გუნდური მუშაობის, თანამედროვე მენეჯმენტისა და სამუშაო ეთიკის იაპონური გამოცდილების გაზიარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონია უკვე ჩართულია მრავალ პროექტში და იაპონური კომპანიები უკვე გეგმავენ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დარგში სხვადასხვა ქვეყანაში რელოკაციას, რაც საქართველოსაც ახალ შესაძლებლობებს მისცემს. მაგალითად, იაპონიასთან თანამშრომლობის კიდევ ერთი სფეროა Fintech-ის ტექნოლოგიები.